პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | სამშაბათი, 20 იანვარი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 14 (702) 1 და 2 ქ. შ. დ. პოლიტ-განყოფ. ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა. ტელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## ლენინის კვირა დაიწყო.

ლენინის კვირა უკვე დაიწყო. კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხელისუფლება და მთელი კომუნისტური ინტერნაციონალი ჯამს უკეთებს ამ ერთი წლის ნამუშევარს, რომელიც გაკეთებული იქმნა უბელადოთ, მაგრამ მისი მოძღვრების საფუძვლებზე.

ამასვე აწარმოებს დღეს ჩვენი წითელი არმიაც. როგორც საბჭოთა კავშირის ცხოვრების ყველა დარგებში, ისე წითელ არმიის განვითარებაში ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ ვამჩნევთ წარმატებებს და წინსვლას. ყოველივე ამას მივაღწიეთ ჩვენი სიმტკიცით, ჩვენი ერთგულებით ლენინიზმისადმი. როგორც ბელადის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ ლენინიზმი რჩება პროლეტარიატის და მთელი დაჩაგრული მსოფლიოსათვის ერთად ერთ გზათ დასახულ მიზნის-კომუნიზმის მისაღწევად.

მხოლოდ და მხოლოთ ამ გზით შეიძლება ყველა ქვეყნის მუშების და გლეხების განთავისუფლება კაპიტალიზმის მონობისაგან.

ამიტომ თითეულ ჩვენთაგანის ვალია უფრო ღრმად შევითვისოთ ლენინიზმი, უფრო კარგად შევისწავლოთ ამხ. ლენინის ყველა ანდერძები.

განსაკუთრებით ეს ეხება ჩვენ წითელ-არმიელებს. ამჟამად თითეულ წითელ-არმიელი არ უნდა დააკლდეს არც ერთ კრებას, არც ერთ ურის სხდომას თუ სხვას, რომელიც მოწყობილი იქნება ლენინის ხსოვნის გარშემო წითელ-არმიელი კარგად უნდა გაერკვიოს თუ რას მიაღწია კომუნისტურ პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ერთი წლის განმავლობაში. მან უნდა იცოდეს იმის შესახებ თუ როგორ გაიზარდა ჩვენი მრეწველობა, როგორ გაიაფდა საქონელი, როგორ აიწია შრომის ნაყოფიერება, როგორ განმტკიცდა ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა და სხვა.

დაბოლოს დიდი ყურადღებით წითელარმიელი უნდა მოეპყრას პროლეტარიატის და გლეხობის კავშირს. ეს დიდი მნიშვნელობის საკითხია. თუ მუშა და გლეხი მჭიდროთ იქნებიან დაკავშირებული მაშინ საბჭოთა ხელისუფლებაც მტკიცე იქნება და მათი თავისუფლებაც უზრუნველყოფილი იქნება.

თითეულ წითელ-არმიელმა უნდა იცოდეს, რომ გლეხის ბედნიერება დამოკიდებულია ქალაქის მუშასთან კავშირით. თუ ეს არ იქნა, გლეხს ისეთივე ბედი მოელის, როგორიც მას მეფის დროს ჰქონდა. ამიტომ ჩვენი მთავარ ამოცანას შეადგენს ყოველმხრივ ხელიშეუწყოთ სოფლის და ქალაქის კავშირის გაძლიერებას და განმტკიცებას. ამ საქმეს უნდა დაეხმარონ თვით წითელ-არმიელებიც, რომლებიც თავის მხრივ რიგიანად აუხსნიან გლეხებს ამ კავშირის საჭიროებაზე.

დაბოლოს ჩვენმა წითელ-არმიელებმა კარგად უნდა შეიგნონ ის გარემოება, რომ ლენინის შემდეგ ერთად ერთი ბელადი ყველა მშრომელთა და დაჩაგრულთა არის კომუნისტური პარტია, ამიტომ ლენინის კვირაში წითელ-არმიელთა მასები უფრო მჭიდროთ უნდა შემოკრბენ ლენინის პარტიის გარშემო და უფრო მეტად უნდა დაუახლოვდენ მას.

ყოველივე ეს იქნება საუკეთესო პატივისცემა ძვირფასი ბელადის ლენინის ხსოვნისადმი.

## ასეულთა კრებების შესახებ.

ახალგაზრდა წითელ-არმიელების პოლიტიკურად აღზრდის საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ასეულის საერთო კრება, რასაც დღემდი ვერ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება.

გასულ წელთან შედარებით ჩვენ ყაზარმას უფრო მომწიფებული კადრი ესტუმრა. ძველ წითელ-არმიელებმა, რომლებიც დაბრუნდენ სოფლად უკვე მოაწრეს ბევრის მოთხრობა წითელ არმიის შესახებ. ასე რომ ახლად მოსულებს წინასწარ ჰქონდათ ერთგვარი წარმოდგენა ჩვენს ყაზარმაზე. მოსვლისას ისინი ჩაებენ ნაწილის მუშაობის ყველა დარგში. ყოველივე ეს, რასაკვირველია, დიდათ ხელს უწყობს კომპარტიას უფრო მეტად მიიზიდოს თავისკენ წითელ-არმიელთა მასსა, დაუახლოვდეს მათ და იქონიოს თავის გავლენის ქვეშ.

ამ მხრივ დიდი ნაყოფის მოტანა შეუძლიათ ასეულის კრებებს.

აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ერთი გარემოება. ახლად მოსული წითელ-არმიელს, რომელმაც უკვე ბევრი რამ მოისმინა პოლიტსაათზე, ხშირად დაარება ლენინის კუთხეში და ღია პარტიულ კრებაზე, სურვილი აქვს თვითონაც გამოსთქვას ესა თუ ის აზრი. მასში გაღვიძა აქტივობამ და მას სურვილი აქვს თვითონაც აქტიური მონაწილე იყოს ნაწილის მუშაობის. მას აღარ უნდა იყოს პასიური მაყურებელი თვით სურს ილაპარაკოს, თავისი წინადადებები შემოიტანოს. და ამ აქტივობას პარტიამ განსაკუთრებით მის ქვეითა ორგანიზაციებმა, ყოველ მხრივ ხელი უნდა შეუწყონ. ეს კი შეიძლება ასეულის კომუჯრედთა ღია კრებების მოწყობით, სადაც დასმული იქნება წითელ არმიელთათვის საინტერესო საკითხები. ვიმეორებ დღის წესრიგის შედგენას განსაკუთრებულ ყურადღება უნდა მიაქციონ კომუჯრედებმა. არვარგა დღის წესრიგში მრავალი და ინტერეს მოკლებული საკითხების დასმა. უმჯობესია ცოტა იყოს და საინტერესო.

ასეულის კრებაზე უპარტიო წითელ-არმიელი ყოველთვის თამამად გრძნობს თავს, იმიტომ რომ ის თავის ვიწრო წრეშია, ყველას იცნობს და არავის ემორცხვება. მაგრამ ლეგიონის საერთო კრებაზე კი იშვიათად გამოვა სალაპარაკოთ. აქ ის უკვე უხერხულად სცნობს ლაპარაკს, სცხვენია და სხვ. სწორედ ამიტომ არის საჭირო სისტემატიურად იმართებოდეს ასეულის კრებები და იქ ირჩეოდეს ისეთი საკითხები, რომლებიც დაინტერესებდა წითელ-არმიელს, გააძლიერებენ მის აქტივობას და ამით მჭიდროთ დააკავშირებენ მას პარტიასთან.

## ლენინის გარდაცვალების წლის თავზე.

ლენინის გარდაცვალების წლის თავზე საფრანგეთის კომპარტიის პარიზის ორგანიზაციამ პარიზში მოაწყო რამოდენიმე ადგილას მიტინგები. ყველაზე უფრო დიდ რიცხოვანი იყო პროფკავშირის შენობაში მოწყობილი მიტინგი, სადაც გამოვიდენ სიტყვებით სემარი, სონმუსო, დორიო და სხვა.

## კომპარტიის დამოკიდებულება გერმანიის ახალ მთავრობისადმი.

გერმანიის რეიხსტაგის კომპარტიამ გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება, რომელიც გამოხატავს კომპარტიის დამოკიდებულებას ლიუტერის ახალი მთავრობის მიმართ. „საფრანგეთი განიხილავს ლიუტერის კაბინეტს, როგორც აშკარა მონარქისტულ მთავრობას, რომლის შედგენას მოყვება დაუზოგავი ბრძოლა მუშათა კლასთან. ახალი მთავრობის შედგენა ნიშნავს ძლიერ რეპრესიებს კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ, 8 საათის სამუშაო დღის მოსპობას, შრომის ხელფასის დაკლებას და ღარიბ მასების დაბეგვრას მძიმე გადასახადებით.

ბურჟუაზიას იმედი აქვს სოციალ დემოკრატების ლიდერების გადამჭრელ მომენტში“.

## პრუსიის არა სრული კაბინეტი.

პრუსიის ლანდტაგში გაიხსნა კამათი მთავრობის დეკლარაციის შესახებ.

კომუნისტი ებერლეინი გამოვიდა სიტყვით, რომელმაც ჩამოაყალიბა კომფრაქციის წინადადება უნდობლობის გამოცხადების შესახებ ბრაუნის კაბინეტზე.

სახალხო პარტიის წევრი კამპე ამტკიცებდა, რომ უკანონოა ბრაუნის არა სრული კაბინეტის არსებობა. ბრაუნი თავის ვრცელ სიტყვაში სცდილობდა წინააღმდეგის დამტკიცებას.

კამპეს სიტყვამ წამოაყენა მოთხოვნილება ბრაუნის მიმართ არ დაკმაყოფილდეს ნდობის ვოტუმის უარყოფით, არამედ დასვას საკითხი ნდობის შესახებ.

## საფრანგეთის უკანასკნელი წინადადება.

საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა გადასცა სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარეს საფრანგეთის უკანასკნელი წინადადება, რომელიც შეიცავს უკიდურეს დათმობებს და ჰგულისხმობს მინიმალურ საბაჟო გადასახადებს გერმანიის ზოგიერთ ნაწარმოებზე.

## რუმინეთის კომუნისტების შიმშილობა.

რუმინეთის ციხიდან გათავისუფლებულ იქნა 100 კომუნისტი. მათ მოიპოვეს თავისუფლება შიმშილობის გამოცხადებით. ციხეებში დარჩენილები განაგრძობენ შიმშილით გაფიცვებს.

## მდგომარეობა იტალიაში. საუბარი კომინტერნის აღმასკომის მდივანთან.

როსტას წარმომადგენელთან საუბარში კომინტერნის აღმასკომის მდივანმა (ლათინთა ქვეყნებიდან) ემბერ დრომ იტალიის მდგომარეობის შესახებ შემდეგი განაცხადა:

მუსოლინის ახალ კურსს ახასიათებს ორი გარემოება: ერთი რომ ფაშიზმს ბოლო მოეღო, მეორე—ის ფაშიზმი სრულიად განცალკავებულია და თუ კიდევ შერჩენია ძალაუფლება ეს იმიტომ, რომ უმრავლესობა ჰყავს პარლამენტში და ამასთან მას იცავს ფაშისტურია მილიცია—150—180 ათასი კაცისაგან შემდგარი.

თუ ფაშიზმი გააგრძელებს თავის არსებობას, აუცილებლად გაძლიერდება მუშათა და გლეხთა მოძრაობა. ამიტომ ბურჟუაზია ცდილობს შეადგინოს ლიბერალური მთავრობა მსგავსად საფრანგეთის მემარცხენე ბლოკისა.

## ახალი საარჩევნო კანონი იტალიაში.

სტეფანის სააგენტოს ცნობით: პალატამ საარჩევნო კანონის გარჩევის დროს უარყო პრინციპი უმრავლესობის ვოტუმისა.

დანარჩენში კანონ-პროექტი მიღებულ იქნა დიდი ხმის უმეტესობით.

საპარლამენტო პოზიციამ გაბედულად გაილაშქრა უმრავლესობის ვოტუმის პრინციპის წინააღმდეგ და მთავრობა იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო.

## გლეხთა საერთაშორისო ერთსულოვნება.

გლეხთა ინტერნაციონალმა მიიღო დეპეშა გერმანიის მუშათა სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებიდან და მოიჯარადრე ჩასახლებულებიდან, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ხორვატიის პარტიის აკრძალვისა და რადიჩის დაპატიმრების წინააღმდეგ.

## პოლონეთი ამერიკის ბანკირთა ხელში.

პოლონეთს ეძლევა ამერიკისაგან 50 მილიონი დოლარი სესხად. სესხი მიცემულ იქნება 20 წლის ვადით, მაგრამ იმ პირობით, რომ პოლონეთმა არ უნდა შეეკრას უცხოეთის სახელმწიფოებს სესხის ხელშეკრულებაში.

## პოლონეთ-დანციგის განხეთქილება.

პოლონეთსა და დანციგს შორის მომხდარი კონფლიქტის შესახებ საკითხი გადაეცა ერთა ლიგას. დანციგის პრეზიდენტმა მიუხედავად ამისა, წარმოსთქვა სენატში სასტიკი სიტყვა პოლონეთის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალს სდებდა დაპყრობითი ხასიათის გეგმებში.

## საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა.

შესდგა საფრანგეთის კომპარტიის კონგრესის პირველი სხდომა. სემარი გამოვიდა მოხსენებით, რომელშიაც მან აღნი-

შნა, რომ პროლეტარიატი საჭირო პასუხს ვერ აძლევს ფაფიზმს; პარტიის ლოზუნგები ბევრ შემთხვევაში გასაგები არ არის: „საჭიროა საშუალო კლასის მასაში შესვლა და მასების დაპყრობა". „ბოლშევიზაცია,—დაუმატა სემარმა,—ნიშნავს მასის დაპყრობას და არა მარტო პარტიის რეორგანიზაციას".

სიუზანა ჟირომ განაცხადა, რომ კომპარტია სწორ გზას ადგია.

უკანასკნელი ამბები ადასტურებენ ჩვენს მასებთან დაახლოვებას, „იუმანიტე" მიღება პროლეტარიატის ორგანოდ, რომელიც აკმაყოფილებს მასის მოთხოვნილებას.

აუცილებლად პარიზის ორგანიზაციის წევრთა რიცხვი უნდა გავამრავლოდ 50.000-მდე, გავამრავლოდ „იუმანიტე"-ს მკითხველთა რიცხვი.

## ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ.

„როტე ფანე" იუწყება, რომ ბელგიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტმა გაუგზავნა გერმანიის კომპარტიას საპროტესტო დეპეშა იმის შესახებ, რომ მოკავშირეთ არ სურთ კელნის ზონის დაცლა.

დეპეშაში ნათქვამია, რომ კელნის ოკუპაციის გაგრძელება ამოწმებს კაპიტალისტურ მთავრობების უძლურებას შექმნან ევროპაში მშვიდობიანობა. ბელგიის კომუნისტები თავის სოლიდარობას უცხადებენ გერმანიის პროლეტარიატს, რომელიც აწარმოებს ბრძოლას მსოფლიო კაპიტალიზმის წინაამდეგ.

## ᲕᲘᲣᲠᲢᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ.

ვიურტემბურგის სასამართლომ გაარჩია ვიურტემბურგის კომუნისტების საქმე და გამოიტანა შემდეგი განაჩენი: კომუნისტი მარშალი ცნობილ იქნა დამნაშავეთ სახელმწიფო ღალატში და ამაფეთქებელ ნივთიერებათა შენახვის კანონის დარღვევაში და მიუსაჯა მას ექვსი წლით გამსახლში მოთავსება.

დანარჩენ 12 ბრალდებულთ მიესაჯა სხვა და სხვა ვადით ციხეში ჯდომა—8 თვიდან 2 ნახ. წლით.

# ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ.

## ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘ.

### ᲐᲛᲮ. ᲑᲣᲮᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ.

„მასწავლებელსა და საზოგადო მოღვაწეს აკავშირებს მუშაობის საერთო ხასიათი.

სოციალიზმის აღმშენებლობა შესდგება ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილია სამეურნეო და მატერიალურ ელემენტების ახალ საფუძვლებზე მოწყობა და მეორე—თვით ადამიანების გარდაქმნა.

ეს ორი ნაწილი ორგანიულად განუყრელი ნაწილია ერთი მეორესთვის.

ამ თვალსაზრისით შეიძლება ვსთქვათ, რომ პოლიტიკური მოღვაწეობის ამოცანა—საზოგადო-პოლიტიკური ამოცანაა.

ძველად გათიშული იყო სასკოლო და სოციალური პედაგოგიკა. დღეს ეს ორი ელემენტი ერთდება.

## ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ჩვენში ამ ჟამად არსებობს სამი კლასი: მუშათა კლასი, გლეხობა და ახალი ბურჟუაზია. საკითხი იმაშია, თუ როგორი იქნება განწყობილება მათ შორის კომუნიზმამდი.

მე ვიტყვი, რომ გაცხოველებული ბრძოლა იქნება გლეხობის მიბირების გარშემო.

თუ გლეხობას შეუკავშირდენ მუშათა კლასის წინაამდეგ, ეს იქნება ჩვენი კლასის დასასრულის დასაწყისი.

თუ გავაძლიერებთ კავშირს გლეხობასთან, ჩვენ მივაღწევთ ჩვენს მიზნებს.

## ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს კომკავშირის ზრდასა და მის დიდ მნიშვნელობას.

კომკავშირის მუშაობის ცენტრს წარმოადგენს სკოლა. მასწავლებელი აქ მეპატრონეა, კომკავშირელი მისი თანაშემწე, მომქმედი იდეოლოგიურად, ადმინისტრატიული წესის გარეშე.

## ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲨᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲐᲡ.

ბუხარინმა დაათავა შემდეგი სიტყვებით: „შემოდით ჩქარა ჩვენს ოჯახში. რამდენად მტკიცე იქნება ჩვენი კავშირი, მით უფრო ადრე განვახორციელებთ ჩვენს ამოცანას. გაუმარჯოს მასწავლებელს, რომელიც დიდ როლს ითამაშებს ქალაქისა და სოფლის დაახლოების საქმეში".

ბუხარინის სიტყვის შემდეგ ყრილობამ მოისმინა მისალმება კრასნო-პრესნენსკის 8.000 პიონერებისაგან.

## ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ.

შემდეგ ყრილობამ გაუგზავნა მისალმების ბარათი (ცენტრალურ პროფკავშირთა საბჭოს, განათლების მუშაკთა ცეკას, წითელ-არმიას, ყველა ქვეყნების მასწავლებლობას, პარიზის ინტერნაციონალის მასწავლებლობას და რუსეთის მწერალს—მაქსიმე გორკის. ყრილობა უსურვებს გორკის გამოჯანსაღებასა და საბჭოთა რუსეთში დაბრუნებას, რათა მასწავლებლობასთან ერთად კომპარტიის ხელმძღვანელობით მიიღონ აქტიური მონაწილეობა ქვეყნის კულტურულ აღორძინებაში.

# ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ.

### საუბარი ამხ. ლუნაჩარსკისთან.

როსტას წარმომადგენელთან საუბარში განათლების კომისარმა ამხ. ლუნაჩარსკიმ განაცხადა: მასწავლებელთა საკავშირო ყრილობამ დიდათ დააკმაყოფილა თვით მასწავლებლები განათლების კომისარიატი, მთავრობა და პარტია. ყრილობამ დაგვანახვა მასწავლებელთა რევოლიუციონური განწყობილების მაღალი დონე.

### ახალი ფაზა.

მასწავლებელთა ყრილობა, განაცხადა ამხ. ლუნაჩარსკიმ შეიქნა რეალური კავშირი მთავრობას და მასწავლებლობის შორის, რაიც უდაო საბუთია იმის, რომ პედაგოგთა საზოგადოებრივ და პედაგოგიურ მოღვაწეობას, ამიერიდან მიეცემა უფრო დიდი დაფასება.

### მასწავლებელთა დაახლოება.

ყრილობაზე შეგროვდენ ყველა მასწავლებლები ს. ს. რ. კავშირის ყველა კუთხიდან, რამაც ხელი შეუწყო ყველა ეროვნებების მასწავლებელთა ცოცხალ დაახლოება—დაძმობილებას.

### ქალი მასწავლებლები.

შემდეგ ამხ. ლუნაჩარსკიმ აღნიშნა მასწავლებელთა პოლიტიკური და პედაგოგიური მომზადების მაღალი დონე და სთქვა: განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მასწავლებელ ქალთა როლი ამ ყრილობაზე. თურქ მასწავლებელ ქალის შესანიშნავი სიტყვა ლენინის საფლავზე, ან დემშვიდებული თავმჯდომარეობა ორი მასწავლებელ ქალისა ყრილობაზე ადასტურებენ, რომ კულტურულად ჩამორჩენილ ერებიდან გამოვლენ და კიდევაც გამოდიან ძლიერ სერიოზულათ მომზადებული მსხვილი ყალიბის საზოგადო და საპედაგოგიო მოღვაწეები,

# ᲐᲛᲮ. ᲠᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ.

საღამოს სხდომაზე 16 იანვარს რაკოვსკი გამოვიდა მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობაზე.

17 იანვრის დილის სხდომაზე რაკოვსკიმ, უპასუხა რა შეკითხვებზე, განაცხადა, რომ შეკითხვების უმრავლესობა ეხება „ზინოვიევის წერილის" საკითხს. წერილი როგორც სჩანს შეთხზული იყო მოსკოვში და მიზნათ ისახავდა ინგლის—საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ჩაშლას.

ეხლა საბოლოოდ დამტკიცებულია, რომ ნამდვილი დოკუმენტი არ არსებობს, არც დედანი და არც მისი ფოტოგრაფია. დიპლომატიურათ ეს საკითხი ამოწურულია.

ემიგრაციაში რაკოვსკის სიტყვით მოხდა გარდატეხა. საფრანგეთში ჩვენს წარმომადგენლობაში აურებელი განცხადებები შემოდის საბჭოთა კავშირში დაბრუნების შესახებ. ევროპაში ეხლა ემიგრაციის ორი ბუდე არსებობს: პრაგა და ბელგრადი; პრაგაში არიან ესერული ელემენტები, ბელგრადში კი ვრანგელის მომხრეები.

შემდეგ ამხ. რაკოვსკი ეხება ჩვენი დამოკიდებულების საკითხს ამერიკასთან და საფრანგეთთან.

# ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ.

შვეციის კომუნისტურმა პარტიამ რეიხსტაგში შეიტანა წინადადება: მონარქიული წესწყობილება შეცვლილ იქნას რესპუბლიკანურით და მოისპოს ზედა პალატა და მიეცეს პარლამენტის და კომუნალურ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ყველას, ვისაც კი შეუსრულდა ოცი წელი.

# ᲙᲘᲓᲔᲕ ᲕᲠᲐᲜᲒᲔᲚᲘᲡ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

დეპუტატ დანიელმა, რომელსაც მინდობილი ქონდა პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის მიერ გამოეთქვა თავის შეხედულება ელჩის დანიშვნის შესახებ მოსკოვში, მიმართა ერიოს წერილობით, რომელშიაც მოაგონებს მას რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურ განყოფილებამ მას გადასცა მხოლოდ ერთი ქაღალდი ვრანგელის ფლოტის შესახებ, რომლიდანაც სჩანს რომ საფრანგეთს კიდევ 1923 წ. პირობა დაუდვია, რომ ვრანგელის მიერ წამოყვანილ გემებს დაუბრუნებდა რუსეთის პირველ მთავრობას, რომელიც ცნობილი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, მან ეხლახან გაიგო რომ 1923 წ. საფრანგეთსა და საბჭოთა შორის ქონია ადგილი მიწერ—მოწერას, რაც მან არ იცოდა.

რის გამო ის თავის მოხსენებას, რომელიც მიიღო საგარეო საქმეთა კომისიამ, სთვლის სინამდვილესთან დაშორებულად.

ამის გამო საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ დანიელის მიერ აღნიშნული წერილები შეადგენდენ უბრალო დეპეშებს და პრესის ცნობებს, რაც არ გადაეცა დანიელს შეცდომით.

# ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ.

ხარკოვის სახ. პოლიტსამმართველოსთან გახსნილია რევოლიუციის მუზეუმი, რომელსაც იშვიათი ექსპონატები მოეპოება. მუზეუმში არის მახნოს, დენიკინის, სავინკოვის, ვრანგელის, კოლჩაკის, პეტლიურას, ცენტრალურ რადას და სხვა თეთრგვარდიელთა ჯაშუშების ორგანიზაციების. საინტერესოა მუზეუმში გამოფენილი მახნოს წერილები დენიკინის შტაბისა და ვრანგელის მიმართ.

# ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲔᲡ ᲗᲘᲗᲔᲣᲚᲛᲐ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲛᲐ.

## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

სამსახურის გარეშე, წითელ არმიელებსა და მეთაურებს შორის სრული მეგობრული დამოკიდებულება და თანასწორობა უნდა სუფევდეს. სამსახურში კი, დაცული უნდა იქნეს მკაცრი სამხედრო დისციპლინა. ასე ლაპარაკობს სადისციპლინო სამხედრო წესდება.

სამხედრო დისციპლინა მოითხოვს, რომ სამსახურის დროს დაუყონებლივ სრულდებოდეს ბრძანება. მიუხედავათ ამისა ხშირად აქვს ადგილი ზოგიერთ ნაწილებში ბრძანების აუსრულებლობას.

ზოგიერთები „ამხანაგურად" არ ისურვებენ შეასრულონ ბრძანება, ზოგიერთები კი ვერ ერკვევიან—თუ რომელი ბრძანება ითვლება სამსახურის დროს ასასრულებლად. სამხედრო კანონები კი მკაცრად სჯიან ბრძანების აუსრულებლობისათვის.

სისხლის სამართლის კოდექსის 202 მუხლი ამბობს, რომ მეთაურის მიერ კანონიერად გაცემულ ბრძანების აუსრულებლობისათვის, დამნაშავე ისჯება თავისუფლების აღკვეთით და 1 წლის სასტიკი იზოლიაციით.

საომარ მდგომარეობაში კი არა ნაკლები 3 წლისა და ხშირად უმაღლესი სასჯელით-დახვრეტით, ხოლო თუ გაუგებრობით ან უცოდინარობით იქნა ჩადენილი ეს დანაშაული—იმ შემთხვევაში სადისციპლინო წესდების თანახმად.

კანონიერ ბრძანების ასრულებისადმი ან უფროსის ბრძანებისადმი წინაამდეგობის გაწევისათვის დამნაშავე დახვრეტით ისჯება, ხოლო უფრო რბილად შეხვედრის დროს კი ორი წლის თავისუფლების აღკვეთით და სასტიკი იზოლიაციით. (სისხ. სამართ. კოდექსის 203 მე მუხლი).

რატომ სჯიან რევოლიუციონური კანონები ბრძანების აუსრულებლობისათვის ასე სასტიკად? იმიტომ, რომ ბრძანების შეუსრულებლობა არღვევს დისციპლინას, ხოლო დისციპლინის გარეშე კი შეუძლებელია ძლიერი არმია.

წითელ არმიელები ხშირად ვერ იგებენ თუ რა ევალებათ სამსახურის დროს. მაგალითად განყოფილების უფროსი იძლევა განკარგულებას, რათა მათ მეცადინეობის შემდეგ თავისუფალ დროს, გააკეთონ ესა თუ ის საქმე, წითელარმიელები კი ამას არ ასრულებენ. აქედან უნდა დავასკვნათ, წითელ არმიელს ვერ გაუგია, რომ ეს განკარგულება კანონიერია. კოდექსში კი ლაპარაკია კანონიერი ბრძანების შეუსრულებლობის შესახებ. სამსახურად ითვლება მეცადინეობა, მწყობრი, შინა სამსახური და საგარნიზონო. ამათ გარდა წითელ არმიელს შეიძლება მისცენ ბრძანება სამსახურის ან თავისუფალ საათებშიდაც კი ის იქნება კანონიერი და უნდა სრულდებოდეს წესიერად. რომ სასჯელი არ აიცილონ თავიდან დამნაშავეებმა კანონთა კრებული ამბობს, რომ მხოლოდ ყველასათვის ნათელი შეუგნებლობა და გაუგებრობა ამსუბუქებს დანაშაულსო. მაგრამ მეთაურები კარგათ იცნობენ თავის წითელ-არმიელებს და იციან თუ რომელი მათგანი შეუგნებელია და რომელი შეგნებული. აქ შეცდომა შეუძლებელია.

უმფრო მკაცრად სჯის კანონები ბრძანების შეუსრულებლობისათვის არმიის საომარი მდგომარეობის პირობებში.

არმიაში სადაც არ არის ფოლადისებური დისციპლინა, ის არმია კი არა-ბრბოა.

ჩვენს სამხედრო ნაწილებში მეთაურები დანიშნულია მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მიერ და ისინი იმოქმედებენ ამ ხელისუფლების მიერ გამოშვებული კანონების მიხედვით. წითელ ჯარში დისციპლინის დარღვევა—მშრომელი ხალხის საქმის ღალატია. ეს უნდა შეიგნოს თითეულმა არმიელმა და შეგნებულად დაიცვან დისციპლინა. ახალგაზრდა წითელ არმიელები ამთავითვე უნდა შეეჩვიონ მეთაურების მიერ გაცემულ ბრძანების შესრულებას.

6—3




# ლენინის კვირეული ყაზარმაში.

## ვემზადებით ლენინის დღისთვის.

ქართ. გაერთ. მეთაურთა სამხედრო სკოლაში გაცხოველებული მზადებაა 22 იანვრისთვის. ასეულებს და ლენინის კუთხეებს ვრთავთ შავ სამოსით და სხვა და სხვა პლაკატებით. ვწარმოებს საუბრები ლენინიზმზე, მარქსიზმის თეორიაზე და 9 იანვრის შესახებ. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ლენინის მოღვაწეობასა და მისი ცხოვრების შესწავლას. ასეთივე მუშაობა მიმდინარეობს კლუბშიდაც, სადაც სხვა და სხვა ცოცხალი სურათების მოწყობით 21 იანვარს გაიმართება საღამო.

ნაჩვენები იქნება ცოცხალი სურათებით ამ ორი სამგლოვიარო დღის მნიშვნელობა.

ამ დღეს ქართ. მეთაურთა სკოლის კურსანტებმა უნდა გამოვამზეუროთ ჩვენი ცოდნა და მის მაგივრად, რომ ამ დღეს მწუხარედ ვიყოთ ლენინის დაკარგვის გამო, ჩვენ ფიცს დავდებთ, რომ კიდევ უფრო გაორკეცებული ენერგიით შევისწავლით ლენინიზმს და მთელ ჩვენახალგაზრდულ ენერგიას მოვახმართ ჩვენი ძვირფასი ბელადის მიერ დაწყებულ საქმის გაგვირგვინებას.

გაუმარჯოს ლენინიზმს, როგორც ერთადერთ ჭეშმარიტ საშვალებას კომუნიზმში გადასასვლელად.

სამხკორი ლ. ჭელიძე.

## ჩვენი კურსანტები სამხედრო საოლქო სკოლაში.

ქართული სამხედრო პოლიტსკოლის საკავშირო კომისიამ მოაწყო ექსკურსია საოლქო სამხედრო სკოლაში. მივედით თუ არა, სკოლის უფროსი თავისი კურსანტებით შემოგვეგება წინ და გაგვიმართეს ოვაციები.

გავერიეთ რუს-სომეხ და სხვა ეროვნებათა კურსანტებს. გაჩაღდა ამხანაგური საუბარი და ერთმანეთისადმი გაცნობა.

ცოტა ხნის შემდეგ გავეშურეთ სკოლის შენობისაკენ რომ გვეცნობოდით თუ როგორ ოთახებში უხდებათ სწავლა და ცხოვრება ამხანაგებს.

პირველად ვინახულეთ მათი სასწავლო ოთახები, საერთო საცხოვრებელი ბინები და სხვა. შემდეგ გადავედით სხვა და სხვა კაბინეთებში, როგორიცაა: ფიზიკური, ქიმიური, ეკონომიური, გეოგრაფიული, ჰიგიენური, სამხედრო და სხვა. ყველა ამაებმა თავისი მორთულობით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს კურსანტებზე.

— რა კარგია, რომ ჩვენც ასე ვიყოთ მოწყობილი—გაიგონებდით აქა-იქ ჩვენი კურსანტებისაგან.

ბოლოს შევიკრიბეთ კლუბში, სადაც გამოვიდა უფროსი და გაგვაცნო სკოლის ისტორია. ამასთანავე მან ხაზი გაუსვა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს მათთან დაახლოებას. შემდეგ დაიწყო მისალმებები, როგორც ჩვენი, ისე აღნიშნული სკოლის კურსანტების მხრიდან. ჩვენ ერთმანეთს შევფიცეთ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ დიდი ბელადის ლენინის იდეების განსახორციელებლად.

სკოლის მომღერალთა გუნდმა შეასრულა ჩვენს საპატივსაცემლოთ სხვა და სხვა რევოლიუციონური სიმღერები და ისე გამოგვისტუმრეს.

კურს. კოხ-ეიძე.

## ჩვენს უჯრედში.

17 იანვარს პირველი ლეგიონის 8-ე ასეულში შესდგა კოუჯრედის მორიგი ღია კრება ჯარისკაცი და კომკავშირელებისა და პარტიული ამხანაგებისა კრებას დაესწრენ მთელი ასეულის უპარტიო ამხანაგებიც.

კრებამ მოისმინა ამხ. გეგელიას მოხსენება ლენინის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ, რის შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

— პირველი ლეგიონის 8-ე ასეულის უპარტიო შემადგენლობამ და წით. არმიელებმა მოისმინეთ რა ამხ. გეგელიას მოხსენება ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ვფიცავთ ვიბრძოლოთ მისი დაწყებული საქმის გასაგრძელებლათ. მოვალედ ვთვლით ჩვენს თავს საფუძვლიანათ შევისწავლოთ წერა-კითხვა და შემდეგ ლენინიზმი, რომელიც მიგვიყვანს პროლეტარიატის სრულ გამარჯვებამდე.

შემდეგ განხილული იქნა პარტიაში გადარიცხვისა და ახკომკავშირში მისაღები ამხანაგების განცხადებები.

კრებამ აირჩია აგრეთვე პარტიული კორესპონდენტი და კრება დაიხურა.

პარტკორი ლეჟავა.

## საკავშირო ასეულის რემედასის უჯრედში.

17 იანვარს შესდგა პირველ საკავშირო ასეულის მთელი შემადგენლობის გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები:

მოხსენება რემედასის მნიშვნელობაზე, ასეულში რემედასის უჯრედის მუშაობის ანგარიში და კოოპერატივისათვის მეთვალყურის არჩევა.

რემედასის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ნუცუბიძე, რომელმაც ვრცლად გააშუქა თუ როგორ მდგომარეობაში არიან ამ ჟამად ბურჟუაზიულ საპყრობილეებში მებრძოლი რევოლიუციონერები და როგორ სდევნიან მათ. ამხანაგმა ისიც გააცნო კრებას, რომ ჩვენ მიერ გაღებული წვლილი მათი დახმარების მიზნით, მთლიანად ეგზავნება საზღვარ გარეთის ამხანაგებს დევნილ-რევოლიუციონერებს და მათი ოჯახების დასახმარებლად. მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, რომ ასეულის მთელი უპარტიო და პარტიული შემადგენლობა ყოველ-მხრივად მიიღებს ზომებს, რომ თავისი წვლილი შეიტანოს ამ ამხანაგების დასახმარებლად.

კრებამ მოისმინა რემედასის უჯრედის ანგარიში. გამოირკვა, რომ უჯრედს განზრახული ჰქონია რემედასის სასარგებლოდ გაემართა რამდენჯერმე წარმოდგენები, მაგრამ სათანადო ძალების უყოლობას არ მიუციათ ამის საშვალება. შემდეგ კრებამ საჭიროდ სცნო კოოპერატივისათვის მეთვალყურის არჩევა.

შალაშინი.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი.

### რად ვერ ამჩნევთ?.



პირველ ლეგიონის სასადილოსა და სამზარეულოს კედლებზე დახატულია მეფის დროის ჯარის კაცის სურათები უყურებენ ამ ძველი დროის ნახატებს ჩვენი ახალწვეული არმიელები და ჰკვირობენ.

„თუ წითელ არმიელებია იგრე რად აცვიათ, ხოლო თუ ძველი „სალდათებია“ რად არ წაუშლიათ“. საჭიროა ლეგიონის მეთაურებმა მიიღონ ზომები, რათა ამ ძველი დამონავებული ჯარისკაცის ადგილზე დაიხატოს წითელ-არმიელები ან და რევოლიუციის ბელადების სურათები.

სამხკორი შ. გამყრელიძე.

## წესრიგია საჭირო.

ცხენოსანი ლეგიონის წითელ არმიელები უწესრიგოთ იქცევიან. დილის ცხრა საათიდან სამ-საათამდე ისინი განუწყვეტლივ ტრიალებენ შტაბში და ხელს უშლიან იქაურ მომუშავეებს. ხშირად ეს ამხანაგები იქამდეც კი მიდიან რომ მოურიდებლად ურევენ ხელს სხვა და სხვა საიდუმლო ქაღალდებში. მორიგი გადამწერის ამხანაგურმა დარიგებამ არ გასჭრა. საჭიროა გუნდებსა და ესკადრონების უფროსები სათანადო ზომებს მიიღებდენ ამ უწესრიგობის წინააღმდეგ, თუ რამე ქაღალდები იქნება არმიელებზე, გადაეცემათ მათ თავიანთი უფროსების საშვალებით.

ტ—ტი.

## ჩვენი ბატარეიის ლენინის კუთხე.

პირველი ლეგიონის ბატარეიაში ლენინის კუთხე მშვენივრად არის მორთული. პლაკატები, სურათები და სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთები ბლომათ მოიპოება. წითელ არმიელები ბლომად ეტანებიან კუთხეს, მაგრამ უნდა აღინიშნოს ერთი გარამოება, რომელსაც ადგილი აქვს კუთხეში. არმიელები ძლიერ ხმაურობენ კუთხეში მეცადინეობის დროს, რაც ხელს უშლის სხვა და სვვა საუბრების ჩატარებას.

საჭიროა ამხანაგები დაიცავდენ სიჩუმეს კუთხეში მეცადინეობის დროს. მოგვეცით საშვალება დაკვირვებით და გულდასმით წავიკითხოთ ჟურნალ-გაზეთები.

ს. ლევ—შვილი.

## კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის მოკვლის ექვსი წლის თავზე.

ქართულ მეთაურთა სკოლის მე-II-რე ასეულში 15 იანვარს შესდგა ასეულის ა. ლ. კ. უჯრედის ღია კრება. დაესწრო ასეულის მთელი შემადგენლობა. გერმანიის ამ ბელადების ცხოვრებასა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთეს ამავე ასეულის კურსანტებმა ამხ. ენუქიძემ და გაბუნიამ, რომლებმაც გააცნეს ამხანაგებს თუ როგორ შესწირეს მათ თავი პროლეტარიატისა და სოციალიზმის საქმეს.

იგივე უფრო ფართეთ იქნა გაშუქებული სკოლის მასწავლებლების მიერ.

ამ ორი ბელადების მოკვლით სოციალისტ შემთანხმებლებს ეგონათ რევოლიუციას ძირს გამოუთხრიდენ და პროლეტარიატს სამუდამოთ ჩასცეს გულში ლახვარი, მაგრამ მოსტყუვდენ. გერმანიაში კვლავ იზრდება და იკრებს ძალებს კომუნისტური პარტია გადამწყვეტი ბრძოლისთვის, რომ განახორციელოს თავისი საყვარელი ბელადების დაწყებული საქმე—ასე დაამთავრეს ამხანაგებმა თავის სიტყვები.

მოხსენებას კრება შეხვდა ცხარე ტაშის ცემით და გამოიტანა შესაფერი შინაარსის რეზოლიუცია. შემდეგ განხილული იქნა პარტიაში შესვლის მსურველთა განცხადებები. მიღებულია რამდენიმე ამხანაგები კავშირის წევრებად.

მიმდინარე საკითხებში შამოვიდა განცხადება, რათა ლენინის გარდაცვალების ერთი წლის თავისთვის განსაკუთრებული ზომები იქნეს მიღებული ლენინის კუთხის სათანადო მოწყობისათვის. კრებამ დაავალა კუთხის კომისიას მიიღოს ამისთვის განსაკუთრებული ზომები.

სამხკორი ირ. მაისაია.

## პურში მკვდარი მატლებია.



ქართულ მეთაურთა გაერთიანებულ სკოლაში ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ ცუდი პური ცხვება. რაც დრო გადის, მით უფრო და უფრო კლებულობს პურის ხარისხი. ამას თავი დავანებოთ კურსანტები ხშირად პოულობენ პურში მკვდარმატლებს და იძულებული ვხდებით სადილის ჭამა სრულიად მივატოვოთ. ასეთ უყურადღებობა დაუშვებელია. მოგვაშორეთ უვარგისი, მატლებიანი პური.

სამხკორი ლავსო.

## ჩვენც ჩავეწერეთ მონადირეთა კავშირში.

დღეს კვირაა. სამხედრო პოლიტ-სკოლის კურსანტები ჯგუფ-ჯგუფად არიან თავმოყრილი. ყველგან გაისმის მოსწრებული ოხუნჯობა და გულიანი სიცილი.

დასასვენებელი დღეები ყოველთვის დიდ სიამოვნებას იწვევს, მეტადრე ჩვენთან, სადაც ამდენი ამხანაგები ერთად შეგროვილან და აუარება ანეკდოტებით უმასპინძლდებიან ერთმანეთს.

ასე ვიყავით გართული, როდესაც გაისმა ზარის ხმა. კრებაა, კრება ამხანაგებო. კრებაზე უნდა წავიდეთ... ნეტა რაზეა... რა უნდა გაირჩეს... ამხანაგებო რა გაყვირებთ, წავიდეთ და იქ დავინახავთ-გამოეხმაურა ერთი ამხანაგი.

ამხანაგებო, „მარშ“, შეუძახა ერთმა და ყველანი გავეშურეთ კრებისკენ.

—დღეს ამხანაგებო, ჩვენი ასეულის თავი გაგვაცნობს მონადირეთა კავშირის მნიშვნელობას და მასში ჩაწერის პირობებს, გამოაცხადა ერთმა ამხანაგმა.

—ამ ამბავმა ძლიერ ასიამოვნა კურსანტები. რადგან დიდი ხანია მას შემდეგ, რაც მოითხოვეს გამხდარიყვენ მონადირეთა კავშირის წევრად.

გამოვიდა აღნიშნული საზოგადოების წევრი, ჩვენი ასეულის თავი და გააცნო ამხანაგებს საზოგადოების დანიშნულება და როგორ შეუძლია თითეულ კურსანტს ჩაეწეროს კავშირში.

შემდეგ ამხანაგმა გვაცნობა რომ ამ ახლო მომავალში ჩვენ გავემართებით სანადიროთ და აღნიშნული კავშირი ყოველგვარ დახმარებას გაგვიწევსო.

ამხანაგები ძლიერ გაახარა ამ ცნობამ და აქედანვე შეუდგენ სანადირო სამზადისს.

გ. ნ.ნუაშვილი.

# პარტიული ცხოვრება

### ცხენოსანი ლეგიონი.

17 იანვარს ცხენოსან ლეგიონში სწარმოებდა კომკავშირის წევრების პარტიის რიგებში გადარიცხვა და უპარტიო პატიოსან ამხანაგების კი ახკომკავშირში მიღება.

აღსანიშნავია ის სიფრთხილე, რომელსაც იჩენდენ ამხანაგები პარტიის რიგებში ახალი წევრების მიღების დროს. ახკომკავშირელების მიუდგომლად შეფასება და მათი სასტიკი გამოცდა ცოდნისა და სხვა მხრივ, აი ყველა ის, რაც საფუძვლად ედვა ამხანაგების პარტიის რიგებში გადარიცხვას. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ახკომკავშირელები სათანადო სიმაღლეზე აღმოჩნდენ გამოცდების დროს.

ახალგაზრდათა კომკავშირში შამოსული ამხანაგებიც სათანადო ცოდნით აღმოჩნდენ, რაშიდაც დიდ დამსახურება მიუ-

# ამბები სოფლებიდან.

**ხიდის დასამთავრებლათ.**

შორაპნის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა გზატკეცილების სამმართველოს წინაშე, გადასდოს შესაფერი თანხა „ჩოლაბურის" ხიდის დასამთავრებლათ, რომელსაც გარდა ადგილობრივი მნიშვნელობისა აქვს საზოგადო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც.

**გურჯაანის სახალხო მამული.**

სიღნაღის აღმასკომმა დააჯილდოვა მამულის გამგე ნანობაშვილი ერთგული მუშაობისათვის, რის შედეგათაც სახალხო მამულის მდგომარეობა შესამჩნევათ გამოკეთდა.

**საექიმო პუნქტების საჭიროებისათვის.**

შორაპნის მაზრაში არსებულ საექიმო პუნქტების საჭიროებისათვის საექიმო იარაღების შესაძენათ, სამაზრო აღმასკომმა გადასდო 4 00 მანეთი.

**ნავთი გლეხებისათვის.**

ქალაქ ახალქალაქში არსებული „ჯავახეთის კოოპერატივი" ყოველთვიურათ ღებულობს ერთ ცისტერნა ნავთს, რომელიც ნაწილდება სასოფლო საბჭოებს შორის გლეხებისათვის დასარიგებლათ.

**ოზურგეთის ტყავის ქარხანა.**

ოზურგეთის ტყავის ქარხანა იჯარით აიღო ცეკავშირმა ქარხანას ცეკავშირი მუდმივათ აწვდის საჭირო ნედლ მასალას.

**მეფუტკრეთა თათბირი.**

1—ლი თებერვალს ლიუქსემბურგში (ბორჩ. მაზრა) შესდგება მეფუტკრეთა თათბირი, რომლის მიზანია მეფუტკრეთა კოოპერატიული კავშირის დაარსება და თაფლის ნაწარმოებთა ქარხნის მოწყობა.

**ფართლეულობის მიღება.**

სენაკის მთლიანმა კოოპერატივმა ამ დღეებში მიიღო დიდძალი ფართლეულობა.

**ბამბის დათესვა.**

ამიერ კავკასიის მებამბეობის კომიტეტმა გადასწყვიტა წელს ბორჩალოს მაზრაში დასთესოს 2 ათასი დესეტინაზე ბამბა.

ძლვით ლეგიონის პოლიტხელებს.

იმედია კავშირში ახლად მიღებული და პარტიის კანდიდატებათ გადარიცხული ამხანაგები გაამართლებენ მათზე დამყარებულ იმედებს.

დ. ზეფრაშვილი.

# სამხედრო საქმე

**ცხენოსანი ჯარის მნიშვნელობა და მისი დანიშნულება სხვა დარგის ჯარებს შორის.**

მნიშვნელობა ცხენოსან ჯარის თანამედროვე ომში არამც თუ შემცირდა, არამედ გაიზარდა.

მისი მოქმედება უნდა მიეწეროს საოპერაციო ხასიათის მუშაობას.

წარმოება ცხენოსანი იერიშების ბრძოლის ველზე ეხლანდელ დროში გაძნელებულია თანამედროვე არტილერიის ცეცხლის და ყოველგვარი ტეხნიკური საშუალებებით და ჯარის დიდ რიცხოვანობით გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ ბრძოლის იერიშების შედეგის გადაწყვეტაზე.

ამ სახით ცხენოსანი ჯარის მოქმედებისათვის დარჩენილი ფრთები (ჯარისა) და ზურგი მტრისა, სადაც მას მიეცემა საშუალება გააფართოვოს საოპერაციო მუშაობა.

დანარჩენ სხვა დარგის ჯარების დახმარებისათვის და ომის მოგების მიღწევისათვის ბრძოლის ველზე ცხენოსან ჯარს ევალება ორი ამოცანა.

1) ჯარის ფრთების უზრუნველყოფა მტრის მიერ ზიანის მიყენებისაგან.

2) ფრთების დაკავება და მოქმედება მტრის ზურგში.

უზრუნველყოფა ფრთებისა (ჯარის) ცხენოსან ჯარს ძალას ატანს მიაწოდოს უფროსებს საჭირო ცნობები მტრის გარშემორტყმის შესახებ და რამდენადაც ადრე მიაწოდებს ამ ცნობებს ცხენოსანი ჯარი იმდენად წარმატებითი შეასრულებს თავის ამოცანას.

ცხენოსანი ჯარის ვალდებულებას მზვერავებთან ერთად შეადგენს, დააკავოს იერიშზე წამოსული მტერი თავგანწირული წინააღმდეგობით, მტრის ფრთის გარშემორტყმა და მოქმედების გაფართოვება ზურგში მის დაბანაკებისა, ცხენოსანი ჯარისთვის შეადგენს გაფართოვებულ და დიდ ამოცანას, რომ უკუაქციოს ფრთების წინააღმდეგობა მტრის ჯარებისა, დაიკავოს საჭირო მდგომარეობა და დაეცეს ფრთებზე და ზურგში მკვეთრ შეტევით.

ამ გვარ მოქმედებით ცხენოსანი ჯარი შეიტანს მტრის ზურგში არეულობას და ამით ის (მტერი) იძულებული იქნება მოხსნას ჯარის ნაწილები ზურგის დასაცავად.

ზემოაღნიშნული ორი ამოცანა შეადგენს ცხენოსან ჯარის მსვლელობის ძირითად საფუძვლებს საომარ მოქმედების დროს. როგორც თავის ფრთების უზრუნველყოფა აგრეთვე მტრის ფრთების გარშემორტყმა, ითხოვს ცხენოსან ჯარიდან დიდ აქტიურ მზვერაობას. გამოსვლისას ცხენოსანი ჯარი უნდა მიესწრაფებოდეს მტრის ცხენოსანი ჯარის დამარცხებისკენ და უნდა შეეცადოს სრულიად მოაშოროს იგი ბრძოლის ველიდან, და როდესაც მასზე მოიპოვებს მორალურ გამარჯვებას, სრულიად უკუქცეული და განშორებული უნდა იქნეს ის მეომარ ჯარების რიცხვიდან. თუ ცხენოსანი ჯარი არ ჩაიგდებს თავის ხელში მზვერაობის ინიციატივას, ამით იგი სცნობს თავს უძლურად და გადასცემს მოქმედების თაოსნებას მტერს ხელში, ამასთანავე მორალურად იქნება იგი გაყვანილი ბრძოლის ველიდან.

ცხენოსნურ და ქვეითა ჯარის ერთდროული მოქმედებანი ანუ კომბინაციური ბრძოლა იძლევიან ნორმალური სახის შეტაკებას. გარდა ამისა მოწინავე ცხენოსანი ჯარის უკუგდებისთანავე, ცხენოსანმა ჯარმა თამამად უნდა შეეკვეთოს მტრის მომავალ ქვეითა ჯარს და აქაც ჩაიგდოს იერიშში პირველობა. თანამედროვე ომის წარმოების დროს საჭიროა დიდი წინასწარი შემუშავებული გეგმიანი ორგანიზაცია: მომარაგება და მისი დაკმაყოფილება ყველა მხრით რაც მისცემს დამოუკიდებელ მოქმედების საშუალებებს. უფროსების მხრიდან საჭიროა სრული ორიენტაცია ცხენოსანი ჯარის ოპერაციების მსვლელობაში და მისი გაერთიანება ერთ პირის ხელში.

მეორე მხრით, საოპერაც[...] ამოცანები, მოქმედების [...] რომელშიაც ამ ჟამად მო[...] დებს ცხენოსან ჯარი მო[...] ხოვს უფროსებისაგან ფარ[...] სამხედრო განვითარებას, [...] ნივრულ მოქმედებას და [...] კიცე ნებისყოფას.

გ. მაყაშვილი.

# სამნეო დარგის საკითხები.

**ასეთი მოვლა პ ტრონობა არ ვარგა.**

ამ დღეებში 1-ლ დივიზიის ერთ-ერთ ლეგიონთაგანმა აღძრა საკითხი ზოგიერთ სამნეო საჭიროების ნივთების სიმცირეზე.

დივიზიის უფროსმა განკარგულება გასცა შეედგინათ საფუძვლიანი ხარჯთ-აღრიცხვა არსებულ კანონიერ ფარგლების და ტაბულის მიხედვით. მომარაგების უფროსმა მისცა საჭირო განმარტებანი სამნეო ნაწილის უფროსს. ყველა ამის შემდეგ წარმოდგენილ იქნა ეგრეთ წოდებული ხარჯთ-აღრიცხვა სამნეო ავეჯეულობის საგნებისა. ეს საბუთი ღირსია გადაეცეს მხოლოდ მუზეუმში, როგორც იშვიათი მაგალითი უთავოსნობისა და დაუდევრობისა, თუ კიდევ გადავცემთ ამ ხარჯთ აღრიცხვას სათანადო უმაღლეს დაწესებულებას დასაკმაყოფილებლად—უკეთეს შემთხვევაში იმაზედ გაიცინებენ და ჩააკერებენ საქმეში და წინააღმდეგ შემთხვევაში—მისცემენ პასუხისგებაში იმ პირთ, რომელთაც ხელი მოაწერეს ამ ხარჯთ აღრიცხვას.

იმას გარდა რომ ეს ხარჯთ აღრიცხვა არაა შედგენილი დაწესებული ფორმით, არ უდევს საფუძვლად ბრძანებები და ტაბული—იგი ეწინააღმდეგება საღ აზროვნებას და სამნეო დარგის ელემენტალურ წესებს, მაგალ: საჭიროა 18 ბოთლის ჭურჭელი წყლისა, 15 ცალი სარკე, 3 ცალი სამელნე მოწყობილობა, 3 ცალი პორთფელი, 96 ცალი რაღაც უცნაური „კონტორის" დავთრები და სხვა და სხვა.

ჩამოთვლილია ყველა ის, რაც სრულებით არაა საჭირო და რაც საჭიროა, ამასთან ჩამოთვლა მოთხოვნილ ნივთებისა არეულია გეგმის მიხედვით გასაცემ ფულთან, როგორიცაა იარაღის და ორკესტრის შესაძენ-შესაკეთებლათ, სანახის მოსაწყობად და სხვა და სხვა. დასასრულ კი ძალა-უნებურად უნდა ვსთქვათ, რომ მთელი ეს მუშაობა არაფრად არ ვარგა, დახარჯულია შრომა, დრო, ქაღალდი და ყველა ეს კი უმიზნოთ.

**როგორი მოვლა-პატრონობა უნდა.**

წითელი ლაშქრის აღმშენებლობის საქმეს, რომ სარგებლობა მოუტანოთ და ჩვენი თავიც არ ჩავაყენოთ სასაცილო და ზოგჯერაც სამხედრო ტრიბუნალის წინ ბრალდებულის მდგომარეობაში, ჩვენ ნება მივცემთ თავს ურჩიოთ მეგობრულად ერთეულების უფროსებს და სამხკორებს და განსაკუთრებით უფროსების თანაშემწეებს სამნეო დარგში, გულდადებით და საფუძვლიანად შეისწავლონ ყველა სამნეო დარგის საკითხები თანახმად „სამხედრო ნაწილის საქმის და ანგარიშების წარმოების სახელმძღვანელოსი" (1-ლი ტომი), რასაც უძევს საფუძვლად რ. რ. ს. ს. 1923 წ. № 1015 ბრძანება,—და აგრეთვე უკანასკნელი დამატებები ამ ბრძანებისა. ამის უცოდინარობა მოუტანს როგორც საქმეს, აგრეთვე მის ამსრულებლებს სარგებლობის მაგიერ—ზარალს.

ამას გარდა სამნეო დარგის მუშაობაში უნდა ანგარიში გაუწიოთ საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მდგომარეობას, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ გვაქვს სამსახურში მონდობილი ჩვენივე სახალხო ქონება და არა ძველებურად „სახელმწიფო". ეს ქონება გროვდება დიდი სიძნელით, მოითხოვს გაბრთხილებას და მომჭირნეობას, რომ არ დაილუპოს ხალხის სიმდიდრე. მოთხოვნილება კი იმისი, რაიც კანონით არ ეკუთვნის და რაც ფუფუნების საგანს წარმოადგენს—არამც თუ უთავოსნობა არის, არამედ დანაშაულია მუშათა და გლეხთა მთავრობის წინაშე.

მიგითითებთ იმ საჭირო ცნობების წყაროებზე, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოდ სხვა და სხვა მოთხოვნილებების და ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს:

1. „სახელმძღვანელო" თანახმად რ. რ. ს. ს. 1923 წ. № 1015 ბრძან. და დამატებები რომლებშიაც გამოცხადებულია ყოველ-გვარი კმაყოფა.

2. რ. რ. ს. ს. 1922 წლ. № 1852 ბრძ. და ტაბული №№ 17, 18 (სანეო ავეჯეულობა და საკანცელიარიო ნივთები).

3. რ. რ. ს. ს. 1919 წელ. № 611 ბრძან. (ერთეულის შედგენის თავდაპირველი განწყობა) და გასავლის ნომენკლატურა რ. რ. ს. ს. 1921 წლ. № 2952 ბრძ., 1922 წლ. №№ 335, 577, 578, 1714 და 2874.

ნამდვილი საჭიროება ნივთებისა ერთეულის თავდაპირველად შედგენის დროს, უნდა გამოარკვიოს მისივე სპეციალურმა კომისიამ.

ს. შაკუნი.

# ახალი ამბები.

— **კედლის გაზეთების გამოფენა.** კვირას, წითელ არმიელთა კლუბში გაიხსნა, ჯარის ნაწილებში არსებულ კედლის გაზეთების გამოფენა, რომელიც ღიაა 10 საათ. 1 საათამდე და 4—6-მდე. წითელ არმიელთათვის შესვლა უფასოა.

— **აღმასკომის დახმარება.** ქუთაისის აღმასკომმა დაადგინა გადასდოს 2.000 მანეთი მესამე ქართ. ლეგიონის ბინების შესაკეთებლათ.

— **მოჯამაგირეთა დაზღვევა.** სოც. დაზღვევის სამართველომ გადასწყვიტა აიყვანოს დაზღვევაზე ყველა მოჯამაგირეები.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღები.** ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარგარეთიდან გამოიწერა 200 ცალი სათიბი მანქანა.

— **ელექტროთი ექიმობა.** ფიზიო-ტერაპევტიულ ინსტიტუტში უკვე დაიწყო ავადმყოფობის ელექტროთი ექიმობა.

— **პირველი საფეხურის სკოლების** შესანახათ ქალაქ ტფილისში, ქალაქის აღმასკომმა გადასდო 224350 მანეთი.

— **ტრამვაის მუშაობა.** დეკემბრის განმავლობაში ტფ. ტრამვაის ვაგონებს გაუკეთ[...] ბიათ 36.606 ბრუნვა 270 ა[...] ვერსამდე სიგრძის გავლით.

— **კიოსკების გადაც[...]** სოც. უზრ. კომისარიატმა [...] ადგინა ყველა მის განკარგ[...] ლებაში მყოფი კიოსკები [...] დასცეს დაჭრილ დაავათ. [...] შვებ. დაბრუნებულ წით[...] არმიელთა დამხმარე საზო[...] დოებას.

— **წიგნი ჯარისათვის.** [...] მოვიდა მ. და გ. წითელ ა[...] მიის ქვეითი ჯარის დროებ[...] საბრძოლო წესდების პირვე[...] ნაწილი ქართულათ. ჯარ[...] ნაწილებს შეუძლიანთ მოიკ[...] ხონ აღნიშნული წიგნები სა[...] სარედ. კოლეგიაში (ლორ[...] მელ. ქ. № 3.

## ხელოვნება.

— **დუროვის გასტროლ[...] წითელ არმიელთათვის.** [...] იანვარს ცირკში გაიმართ[...] საშეფო წარმოდგენა წით[...] არმიელთათვის. საღამოზე [...] მოვა დუროვი თავისი გაწვრ[...] ნილი ცხოველებით.

— **ქუთაისის თეატრ[...]** ქუთაისის თეატრში სისტ[...] ტიურათ უთმობენ უფასო ა[...] გილებს ადგილობრივ მდგ[...] სამხედრო ნაწილებს.

პასუხისმგებელი
რედაქტორი ლ. ჩანტლაძ[...]

# 1-ლი ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულ[...] კომუჯრედიდან.

კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება ახკომკავშ[...] რის წევრებს ამხ. გალაქტიონ ჭელიძეს და ამხ. გიორგი [...] ნდუროვს, რომლებიც თხოულობენ კომპარტიის კანდიდატ[...] გადაყვანას.

1-ლ ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრე[...] სთხოვს ყველა იმ ამხანაგებს თუ ვინმემ რაიმე უარყოფი[...] იცის აღნიშნულ ამხანაგებზე გვაცნობონ კომუჯრედში წერ[...] ლობით ან სიტყვიერად ერთი კვირის განმავლობაში.

მისამართი: ქ. ტფილისი დავიდოვის ქუჩა № 6 (1-ლ [...] მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულის ყაზარმა.)

კომუჯრედის პას. მგებ. მდივანი ახალაშვილი.

# განცხადება.

უკანასკნელ ხანებში ჩვენ გაზეთის საშვალებ[...] თაც მივმართედ დავალიანებულ ამხანაგებს ნაწილ[...] ბიდან შემოეტანათ წაღებულ მანუფაქტურის ხვედრ[...] საფასური, მაგრამ ამ საშუალებამაც არ გასჭრა.

ამით **ევკოოპრუზის** პრეზიდიუმი მევალეებს უკ[...] ნასკნელად მოაგონებს მათ მოვალეობას. იმ შემთ[...] ვევაში თუ ისინი დარჩენილ ვალს არ დაფარავ[...] იანვრის ჯამაგირიდან, გამგეობა იძულებული იქ[...] ბა იმათ, ვისაც ვალი არ გადაუხდია, დაუხუროს მ[...] კლე ვადიანი კრედიტი, მოუსპოს წევრობის უფლ[...] ბები და საქმე გადასცეს სასამართლოს.

ევკოოპრუზის პრეზიდიუმი.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. ტირაჟი 1100.